ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №25

19 აპრილი , 2019 წელი

15:00 საათი

(ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის ოთახი N329)

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი
5. ვლადიმერ ძნელაძე;
6. ფრიდონ ინჯია;
7. ოთარ გრიგოლია;
8. ლილე ლიპარტელიანი;

მოწვეული სტუმრები: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ . (წერილი №12-0319093154-03; 03.04.2019).

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის

28 დეკემბრის №35-118 დადგენილებაში. კერძოდ, წარმოდგენილი პროექტით იცვლება დაავადებათა სკრინინგის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი N1) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, 2019 წლის პირველი აპრილიდან წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ", „გ" და „დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი თითოეული მომსახურების ფარგლებში ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არანაკლებ 50 (ორმოცდაათი) მოსარგებლისა, ხოლო „ე" ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ყოველთვიურად მომსახურება გაუწიოს არაუმეტეს 150 (ას ორმოცდაათი) მოსარგებლეს, ნაცვლად არაუმეტეს 100 (ასი) მოსარგებლისა, გარდა მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შემმოწმებელი დაწესებულებისა.

წარმოდგენილი პროექტით ასევე ცვლილება შედის „ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის (დანართი №5) მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში, რომლის თანახმადაც დგინდება, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის დაფინანსება საქართველოში ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის/თანხმობის წერილის მეშვეობით. ნაცვლად, დაფინანსების აქამდე არსებული ზღვრული ოდენობის-არაუმეტეს დადგენილი ტარიფის 50%-ისა, დგინდება არაუმეტეს 70 000 (სამოცდაათი ათასი) ლარის ოდენობა, ხოლო პაციენტის თანაგადახდა განისაზღვრება დადგენილი ტარიფის არაუმეტეს 50%-ის ნაცვლად , არაუმეტეს 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარით.

აღნიშნული ცვლილების განხორციელება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ბირბიჩაძემ დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ცვლილებები და გამოთქვა სურვილი რომ, ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამებს დაემატოს ,,გაფანტული სკლეროზით'' და ,,კოქსართროზით'' დაავადებულთა მკურნალობის ქვეპროგრამა. გელა ჩივიაშვილმა გამოთქვა მზაობა, რომ აღნიშნული საკითხი განსახილველად დადგება დღის წესრიგში.
კომისიის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე **ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.**

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე